



მდგრადი




განვითარების



ენგერიში 2021:



მიზონიდან და სუქანთვედოს ზედებები





ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

შინაარსი

ძირითადი მიგნებები	3
შესავალი	4
გლობალური მიმოხილვა	6
საქართველოს შედეგები	7
გავრცელების ეფექტის ინდექსი (Spillover Index)	21
ანგარიშის ძირითადი აქცენტები და რეკომენდაციები	23



ძირითადი მიგნებები

- მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების / პროგრესის რეიტინგში საქართველო 56-ე ადგილს იკავებს 165 ქვეყნიდან, რითაც ჩამოუვარდება ბელარუსს, უკრაინას, ყირგიზეთს, რუსეთს, მოლდოვასა და აზერბაიჯანს;
- ქვეყანაში მნიშვნელოვანი გამოწვევებია მდგრადი განვითარების 4 მიზნის მიმართულებით - “გენდერული თანასწორობა” (SDG-5), “ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება” (SDG-10) და ეკოლოგიური გამოწვევების (SDG 14-15) თვალსაზრისით;
- შიმშილის აღმოფხვრის და ეკოლოგიური მიზნების, ასევე მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით სტაგნაცია აღინიშნება;
- “არა შიმშილს” მიზნის (SDG 2) ფარგლებში, გაუარესება აღინიშნება 3 ინდიკატორის შემთხვევაში, კერძოდ არასაკმარისი კვების, ჭარბი წონის მაჩვენებლის და აზოტის მდგრადი მართვის ინდექსის თვალსაზრისით;
- ქვეყანაში მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩება გენდერული თანასწორობის მიმართულებით, მაგალითად, ქალების 50%-ს ხელი არ მიუწვდებათ კონტრაცეფციის თანამედროვე საშუალებებზე, ასევე დაბალია საკანონმდებლო ორგანოში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპორციული რაოდენობა;
- გაუარესება აღინიშნება შრომითი უფლებების დაცვის თვალსაზრისით;
- ანგარიშის შემუშავების პერიოდში არსებული მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის დონე 12.5%-ს შეადგენდა, რაც საქსტატის უახლესი მონაცემებით კიდევ უფრო გაუარესდა და 18.5%-ს მიაღწია. 2021 წლის მონაცემებით, საქართველოში მოსახლეობის 3.24% დღეში 1.9 აშშ დოლარზე ნაკლებით ცხოვრობს, ხოლო თითქმის 14% 3.20 აშშ დოლარზე ნაკლებით;
- მნიშვნელოვანი გამოწვევებია სოციალური უთანასწორობის მიმართულებით. SDG 10-ის ერთ-ერთი ინდიკატორის, დაზუსტებული Gini კოეფიციენტის მიხედვით, საქართველო ყველაზე უთანასწორო ქვეყნების ათეულშია;
- უარყოფითი დინამიკა ფიქსირდება განზრახ მკვლელობის მაჩვენებლის შემთხვევაშიც;
- საქართველომ 90.7 ქულით, 165 შეფასებული ქვეყნიდან 98-ე ადგილი დაიკავა გავრცელების ეფექტების საერთაშორისო რეიტინგში (Spillover Index), რომელიც აფასებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ გავლენას სხვა ქვეყნებზე.



შესავალი

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის სექტემბერში მიიღო რეზოლუცია „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომელიც იმავე წლის ოქტომბერში შევიდა ძალაში. რეზოლუცია წარმოადგენს 15 წლიან სამოქმედო გეგმას, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიოს წინაშე არსებულ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებთან მიმართებით ძალისხმევის გააქტიურებას, კერძოდ, სიღარიბის, უთანასწორობის, კეთილდღეობის, განათლების, მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხების, ასევე კლიმატური და ეკოლოგიური გამოწვევების გამკლავებას.

რეზოლუციაში გაიწერა მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია და სამ ძირითად განზომილებაში ერთიანდება - ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური. საქართველომ, სხვა ქვეყნების მსგავსად, მოახდინა მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაცია, რის ფარგლებშიც ეროვნულ დონეზე 17 მიზნისა და მათი ამოცანების იმპლემენტაციის მონიტორინგისთვის შემუშავდა 202 ეროვნული ინდიკატორი.

ნაციონალიზაციის პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის შერჩეულ იქნა არსებულ პოლიტიკის დოკუმენტებთან მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების დაკავშირების ჰორიზონტალური ინტეგრაციის მოდელი. განსხვავებით ვერტიკალური მეთოდისგან, რომლის დროსაც იქმნება ერთიანი, ახალი ყოვლისმომცველი მდგრადი განვითარების სტრატეგია, ჰორიზონტალური ინტეგრირების მოდელი გულისხმობს გლობალური მიზნებისა და მათ ამოცანათა დაკავშირებას და ასახვას არსებულ თემატურ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში.

მდგრადი განვითარების ანგარიში 2021¹, წარმოადგენს კემბრიჯის უნივერსიტეტის მხარდაჭერით შესრულებულ დამოუკიდებელი კვლევის მეშვიდე გამოცემას და აერთიანებს საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კვლევითი ორგანიზაციების მონაცემებსა და ანალიზს. ანგარიში საერთო ინდიკატორების საფუძველზე, გლობალურად აფასებს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების ხარისხს. აღსანიშნავია, რომ ანგარიში არ წარმოადგენს მონიტორინგის ოფიციალურ მექანიზმს და ვერ ჩაანაცვლებს ამ კუთხით ეროვნულ შეფასებას. ქვეყნების რეიტინგი დგინდება მათი ჯამური ქულის მიხედვით და ზომავს ქვეყნის ერთიან პროგრესს 17 SDG-ს შესრულების თვალსაზრისით. ქულა შეიძლება აღქმული იქნას როგორც პროცენტული მაჩვენებელი. 100 ქულა მიუთითებს იმაზე, რომ ყველა SDG მიღწეულია.

1 Sachs, J., Kroll, C., Lafortune, G., Fuller, G., Woelm, F. (2021). The Decade of Action for the Sustainable Development Goals: Sustainable Development Report 2021. Cambridge: Cambridge University Press.



მდგრადი განვითარების მიზანი	ზოგადი აღწერა
SDG-1 არა სიღარიბეს	სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა
SDG-2 არა შიმშილს	შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა
SDG-3 ჯანმრთელობა და კეთილდღეობა	ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის
SDG-4 ხარისხიანი განათლება	ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის
SDG-5 გენდერული თანასწორობა	გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება
SDG-6 სუფთა წყალი და სანიტარია	წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა
SDG-7 ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია	ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა
SDG-8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა	სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის
SDG-9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა	მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა
SDG-10 შემცირებული უთანასწორობა	უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის
SDG-11 ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება	ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
SDG-12 გონივრული მოხმარება და წარმოება	მდგრადი მოხმარება და წარმოება
SDG-13 კლიმატის მდგრადობის მიღწევა	კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება
SDG-14 წყალქვეშა რესურსები	ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის
SDG-15 დედამიწის ეკოსისტემა	ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და ხელშეწყობა, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების დანაკარგების შეჩერება
SDG-16 მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები	მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე



SDG-17 თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის	პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად
---	--

გლობალური მიმოხილვა

გასული წლების მსგავსად, ინდექსის სათავეში ექვევნიან სკანდინავიური ქვეყნები: ფინეთი შვედეთი და დანია. ტოპ ოცეულის ყველა ქვეყანა, ხორვატიის გამოკლებით, გახლავთ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყანა.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ OECD-ის ყველა ქვეყანას აქვს მნიშვნელოვანი გამოწვევები მინიმუმ ერთი მიზნის მიღწევის პროცესში. არსებული ტენდენციებიდან (პანდემიის დაწყებამდე) გამომდინარე, ბევრ მაღალშემოსავლიან ქვეყანაში პროგრესი არასაკმარისი იყო მდგრადი მოხმარებისა და წარმოების, კლიმატის მდგრადობის მიღწევის და ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროებში (SDG 12–15). მაღალშემოსავლიანი ქვეყნები ასევე არასახარბიელო შედეგებს აჩვენებენ საერთაშორისო გავრცელების (Spillover) ინდექსში, რომელიც აფასებს თუ როგორი სოციო-ეკონომიკური და ეკოლოგიური გავლენა აქვს ქვეყანას სხვა ქვეყნებზე.

დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნები გაცილებით უფრო დაბალ შედეგებს აჩვენებენ SDG ინდექსში, რაც ნაწილობრივ განპირობებულია თავად SDG-ების ხასიათიდან გამომდინარე. მიზნები მეტწილად მიმართულია უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრისა და ძირითადი სერვისებისა და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე (SDG 1–9). გარდა ამისა, ღარიბ ქვეყნებს არ გააჩნიათ შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მექანიზმები, რათა SDG 12–15-ში განხილულ ძირითად ეკოლოგიურ გამოწვევებს შეეჭიდონ. Covid-19 პანდემიის კრიზისის დაწყებამდე, დაბალი შემოსავლის ქვეყნებში მნიშვნელოვანი პროგრესი ფიქსირდებოდა უკიდურესი სიღარიბის დაძლევისა და ძირითადი სერვისებისა და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განსაკუთრებით SDG 3-ის (ჯანმრთელობა და კეთილდღეობა) და SDG 8-ის (ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა) მიმართულებით, გარდა იმ ქვეყნებისა, რომლებშიც მიმდინარეობდა შეიარაღებული კონფლიქტები და სამოქალაქო ომები. ამასთან, Covid-19 პანდემიამ ბევრ შემთხვევაში გამოიწვია SDG პროგრესის უკუსვლა.

საქართველო რეიტინგში 56-ე ადგილს იკავებს, რაც მსოფლიო რეიტინგში ჩამოუვარდება ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა ბელარუსი, უკრაინა, ყირგიზეთი, რუსეთი, მოლდოვა და აზერბაიჯანი, ხოლო OECD-ის ქვეყნებთან მიმართებით, საქართველოს შედეგები 37-დან მხოლოდ 3 ქვეყნისას აღემატება, კერძოდ, თურქეთი, მექსიკა და კოლუმბია.

SDG ინდექსის შედეგები ადმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებში		
ქვეყანა	ქულა	მსოფლიო რეიტინგი
ხორვატია	80.38	14
ბელარუსი	78.82	24



მალტა	75.75	33
სერბეთი	75.59	34
უკრაინა	75.51	36
რუმინეთი	74.97	39
კვიპროსი	74.87	40
ყირგიზეთი	74.00	44
ბულგარეთი	73.81	45
რუსეთი	73.75	46
ბოსნია ჰერცეგოვინა	73.70	47
მოლდოვა	73.68	48
ჩრდილოეთ მაკედონია	72.53	54
აზერბაიჯანი	72.41	55
საქართველო	72.26	56
სომხეთი	71.79	58
ყაზახეთი	71.64	59
ალბანეთი	71.02	64
უზბეკეთი	69.84	77
ტაჯიკეთი	69.76	78
მონტენეგრო	68.21	85
თურქმენეთი	61.14	117
ავღანეთი	53.93	137

საქართველოს შედეგები

გლობალური SDG ინდექსი არ არის მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგის ოფიციალური ინსტრუმენტი, თუმცა იგი ავსებს ეროვნული სტატისტიკური სამსახურების და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ SDG ინდიკატორების შეგროვებისა და სტანდარტიზაციის ძალისხმევას. ამ კუთხით, ინდექსი წარმოადგენს მონაცემების ყველაზე განახლებულ კრებულს, რომელიც იყენებს მონაცემთა ოფიციალურ (გაერო, მსოფლიო ბანკი და ა.შ.), ასევე, არაოფიციალურ წყაროებს (კვლევითი ინსტიტუტები და არასამთავრობო ორგანიზაციები).

2015 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესის ხელმძღვანელობა და კოორდინაცია ჩაიბარა. ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, ქვეყნის გამოწვევებისა და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, მდგრადი განვითარების 17-ვე მიზანი და 93 ამოცანა განისაზღვრა ეროვნულ პრიორიტეტად. ნაციონალიზაციის პროცესში ჩართული იყო ყველა შესაბამისი სამთავრობო უწყება, საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოები და სამოქალაქო საზოგადოება. მათ შორის, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, IDFI ჩართული იყო მიზნების ნაციონალიზაციის და ელექტრონული მონიტორინგის სისტემის შექმნაში, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციას ეხმარება მდგრადი განვითარების ეროვნული მიზნების ეფექტურად და გამჭვირვალედ მონიტორინგში.



გლობალური ინდექსი თითოეულ მდგრადი განვითარების მიზანს აფასებს შესრულების 4 ინდიკატორით და დინამიკის 4 ინდიკატორით, რომლებიც მიუთითებენ იმაზე თუ რამდენად არის საკმარისი წინსვლის მიმდინარე ტემპი მიზნების მისაღწევად 2030 წლისთვის:

შესრულების ინდიკატორები	დინამიკის ინდიკატორები
მიზანი მიღწეულია	↑ მიმდინარეობს გეგმის მიხედვით
დარჩენილია მსუბუქი გამოწვევები	↗ მცირედი წინსვლა
დარჩენილია გამოწვევები	→ სტაგნაცია
დარჩენილია მნიშვნელოვანი გამოწვევები	↓ გაუარესება
მონაცემი არ არის	○ მონაცემი არ არის

მდგრადი განვითარების მიზანი	შესრულება	დინამიკა
SDG-1 არა სიღარიბეს		↗
SDG-2 არა შიმშილს		→
SDG-3 ჯანმრთელობა და კეთილდღეობა		↗
SDG-4 ხარისხიანი განათლება		↑
SDG-5 გენდერული თანასწორობა		↗
SDG-6 სუფთა წყალი და სანიტარია		↗
SDG-7 ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია		↑
SDG-8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა		↗
SDG-9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა		→
SDG-10 შემცირებული უთანასწორობა		○
SDG-11 ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება		↗
SDG-12 გონივრული მოხმარება და წარმოება		○
SDG-13 კლიმატის მდგრადობის მიღწევა		→
SDG-14 წყალქვეშა რესურსები		→
SDG-15 დედამიწის ეკოსისტემა		→
SDG-16 მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები		↗
SDG-17 თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის		↗

ქვეყანაში მნიშვნელოვანი გამოწვევებია დარჩენილი მდგრადი განვითარების 4 მიზნის მიმართულებით - გენდერული თანასწორობა (SDG-5), ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება (SDG-10) და ეკოლოგიური გამოწვევები (SDG 14-15). საერთო ჯამში, 12 მიზნის მისაღწევად ქვეყანას მნიშვნელოვანი ღონისძიებები აქვს გასატარებელი, ხოლო ერთი მიზნის, კერძოდ, ხარისხიანი განათლების მიმართულებით, საერთაშორისო ინდექსის ინდიკატორების თანახმად, საქართველოს დასახული მიზანი მიღწეულია.



რაც შეეხება პროგრესის დინამიკას, შიმშილის აღმოფხვრის და ეკოლოგიური მიზნების, ასევე მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით სტაგნაცია აღინიშნება. მცირედი გაუმჯობესება ფიქსირდება 8 მიზნის შემთხვევაში, თუმცა ტემპი საკმარისი არ არის 2030 წლისთვის მიზნების სრულყოფილად შესასრულებლად. გეგმის მიხედვით მიმდინარეობს მდგრადი განვითარების ორი მიზნის შესრულება: ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია (SDG-7) და ხარისხიანი განათლება (SDG-4), რომლის საერთაშორისო სამიზნე ნიშნულები უკვე მიღწეულია და ამჟამად შედეგები შენარჩუნებულია. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, ამ უკანასკნელის შეფასების მიზნით ანგარიში იყენებს 3 ბაზისურ ინდიკატორს რომლებიც საქართველოში მაღალ ნიშნულზე იყო მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვამდეც, ესენია: საშუალო განათლების მაჩვენებელი (ბავშვთა პროცენტული რაოდენობა ვინც იღებს საშუალო განათლებას), დაწყებითი განათლების დასრულების მაჩვენებელი, და წიგნიერების დონე.

2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი და მდგრადი განვითარების მიზნები ხაზს უსვამს ქვეყნების მიერ სანდო მონაცემებისა და სტატისტიკის წარმოების მნიშვნელობას. ამასთან, SDG-17 პირდაპირ მოუწოდებს ქვეყნებს, გააძლიერონ თავიანთი სტატისტიკური შესაძლებლობები. სანდო, დროული და ყოვლისმომცველი მონაცემების ხელმისაწვდომობა აუცილებელია პოლიტიკოსებისთვის ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და პროგრესის შესაფასებლად.

მოცემულ ქვეთავებში განხილულია მდგრადი განვითარების თითოეულ მიზანზე საქართველოს შემდეგები როგორც გლობალური ინდექსის, ასევე ეროვნული შესრულების ინდიკატორების თვალსაზრისით.

SDG 1: არა სიღარიბეს

სიღარიბის დონის შესაფასებლად, გლობალური ინდექსი იყენებს 2 ინდიკატორს: ადამიანების წილი, რომლებიც ცხოვრობენ დღეში 1.9 აშშ დოლარზე ნაკლები თანხით და ადამიანების წილი, რომლებიც ცხოვრობენ 3.20 აშშ დოლარზე ნაკლები თანხით. 2021 წლის მონაცემებით, საქართველოში მოსახლეობის 3.24% დღეში 1.9 აშშ დოლარზე ნაკლებით ცხოვრობს, ხოლო თითქმის 14% 3.20 აშშ დოლარზე ნაკლებით. მდგრადი განვითარების მიზანს წარმოადგენს სიღარიბის მაჩვენებლის 0%-მდე შემცირება, თუმცა, 2015 წლიდან საგრძნობლად შემცირდა ამ მიმართულებით განვითარების ტემპი, რაც არ არის საკმარისი 2030 წლისთვის მიზნის მისაღწევად.

ინდიკატორი	შესრულება	დინამიკა	შედეგი	გრძელვადიანი მიზანი
სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა (დღეში 1.90\$)		↗	3.2%	0%
სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს ქვემოთ მცხოვრები		↗	14%	0%



მოსახლეობის პროპორციული ოდენობა (დღეში 3.20\$)				
---	--	--	--	--

SDG 2: არა შიმშილს

მეორე SDG მიზნად ისახავს შიმშილის აღმოფხვრას, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევას და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას. ამ მაჩვენებლების შეფასების მიზნით, ინდექსი იყენებს 8 ინდიკატორს:

ინდიკატორი	შესრულება	დინამიკა	შედეგი	გრძელვადიანი მიზანი
არასაკმარისი კვება		↓	8.2%	0%
არასაკმარისი ზრდა 5 წლამდე ასაკის ბავშვებში		↗	11.3%	0%
სიგამხდრის მაჩვენებელი 5 წლამდე ასაკის ბავშვებში		↑	1.6%	0%
ჭარბი წონის მაჩვენებელი		↓	21.7%	2.8%
ტროფიკულობის დონე (Human Trophic Level) ²		→	2.3	2.04
ბურღულეულის წარმოება (ტონა, 1 ჰექტარ დამუშავებულ მიწაზე)		↑	2.5	7
აზოტის მდგრადი მართვის ინდექსი (0-1.41)		↓	1.1	0
მავნე პესტიციდების ექსპორტი		○	N/A	0

გაუარესება აღინიშნება 3 ინდიკატორის შემთხვევაში, კერძოდ არასაკმარისი კვების, ჭარბი წონის მაჩვენებლის და აზოტის მდგრადი მართვის ინდექსის თვალსაზრისით. გლობალური ინდექსი იყენებს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სტატისტიკას, რომლის მიხედვითაც 2013 წელს საქართველოში მოსახლეობის 4.6% ხელი არ მიუწვდებოდა საკმარის საკვებზე. ეს მაჩვენებელი 2018 წლამდე სტაბილურად იზრდებოდა და 8.2%-იან ნიშნულს მიაღწია. ანგარიში ამავე წყაროს იყენებს მავნე პესტიციდების ექსპორტის მაჩვენებლის შეფასების მიზნით, თუმცა ამ ინდიკატორის შემთხვევაში მიუწვდომელია საქართველოს მონაცემები.

SDG 3: ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

კოვიდ-19-მა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ჯანმრთელობის ინდიკატორებზე და სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე მრავალ განვითარებულ ქვეყანაში. სიცოცხლის

² საშუალო დიეტის შემცველობის ამსახველი მაჩვენებელი, ხორცეული და მცენარეული საკვების თანაფარდობა.



მოსალოდნელი ხანგრძლივობა საქართველოშიც შემცირდა, სტაგნაცია ასევე თვალსაჩინოა გულისსხლდარღვთა დაავადებასთან, კიბოსთან, დიაბეტთან და ქრონიკულ რესპირატორულ დაავადებასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელის თვალსაზრისითაც. ისტორიული მონაცემების დეფიციტიდან გამომდინარე, შეუძლებელია დინამიკის დადგენა ჰაერის დაბინძურების შედეგად სიკვდილიანობის და ჯანდაცვის კვალიფიციური პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობათა ხვედრითი წილის ინდიკატორების შემთხვევაში.

ინდიკატორი	შესრულება	დინამიკა	შედეგი	გრძელვადიანი მიზანი
დედების სიკვდილიანობის მაჩვენებელი (100 000 მოსახლეზე)		↑	25.0	3.4
ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი (100 000 მოსახლეზე)		↑	4.9	1.1
5 წლამდე სიკვდილიანობის მაჩვენებელი (100 000 მოსახლეზე)		↑	9.6	2.6
ტუბერკულოზის შემთხვევები (100 000 მოსახლეზე)		↑	74.0	0
შიდსით დაინფიცირების შემთხვევები (1000 მოსახლეზე)		○	N/A	0
გულისსხლდარღვთა დაავადებასთან, კიბოსთან, დიაბეტთან ან ქრონიკულ რესპირატორულ დაავადებასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი		→	24.9%	9.3
ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი (100 000 მოსახლეზე)		○	102	0
საგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობა (100 000 მოსახლეზე)		↑	14.2	3.2
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (წელი)		→	73.3	83
შობადობის მაჩვენებელი მოზარდებს შორის (1000 მოსახლეზე)		↗	45.2	2.5
ჯანდაცვის კვალიფიციური პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობათა ხვედრითი წილი		○	99.9	100
ვაქცინირებულ ახალშობილთა წილი		↑	94	100



ჯანდაცვის ძირითადი სერვისებით დაფარვის ინდექსი (0-100)		↗	66	100
კეთილდღეობის სუბიექტური აღქმა (0-10)		↑	5.1	7.6

SDG 4: ხარისხიანი განათლება

შეფასებისთვის გამოყენებული მონაცემები 2019 წლის ჩათვლით პერიოდს მოიცავს, რის გამოც Covid-19 პანდემიით გამოწვეული შედეგები ჯერ არ ასახულა საერთაშორისო ინდექსის SDG-4-ის შესრულების ინდიკატორებზე. მოსალოდნელია, რომ სკოლების დახურვა და დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა უარყოფითად იმოქმედებდა განათლების ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე.

საქართველოს ამ მიმართულებით უკვე შესრულებული აქვს 3 ძირითადი მიზნის ინდიკატორი, რომლებიც ზომავენ ბავშვების პროცენტულ მაჩვენებელს, ვინც იღებს დაწყებით და საშუალო განათლებას და ქვეყანაში არსებულ წიგნიერების დონეს (15-დან 24 წლამდე ახალგაზრდებში წერა-კითხვის ცოდნის მაჩვენებელი).

ინდიკატორი	შესრულება	დინამიკა	შედეგი	გრძელვადიანი მიზანი
საშუალო განათლების მიღების მაჩვენებელი		↑	99.4%	100%
დაწყებითი განათლების დასრულების მაჩვენებელი		↑	113.9%	100%
წიგნიერების დონე		○	99.6%	100%

აღსანიშნავია, რომ ანგარიშის ფარგლებში დაბალი შემოსავლიანობის ქვეყნებისთვის მისადაგებულია ინდიკატორების მცირე რაოდენობა, რომელთა შესრულების მაჩვენებელი ისტორიულად მაღალია პოსტ-საბჭოთა სივრცეში, თუმცა აღნიშნული ინდიკატორები არ მოიცავენ ხარისხობრივ ელემენტებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოწვევებია დარჩენილი SDG-4-ის ეროვნული ინდიკატორების თვალსაზრისით. მაგალითად მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) შედეგები, პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე პირთა დასაქმების მაჩვენებელი, პედაგოგთა განათლების მაჩვენებლები, და სხვა.

³ [OECD– ის მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა \(PISA\) 15 წლის მოზარდებში ზომავს კითხვის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო ცოდნას და უნარებს. უახლესი შედეგებით საქართველო 78 ქვეყნიდან 70-ე ადგილზეა.](#)

SDG-5 გენდერული თანასწორობა

ქვეყანაში მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩება გენდერული თანასწორობის მიმართულებით, კერძოდ, ოჯახის დაგეგმარების საჭიროებების (ქალების 50%-ს ხელი არ მიუწვდებათ კონტრაცეფციის თანამედროვე საშუალებებზე) და საკანონმდებლო ორგანოში ქალების პროცენტული მაჩვენებლის თვალსაზრისით. ბოლო წლებში, ორივე შემთხვევაში აღინიშნება სტაგნაცია.

ინდიკატორი	შესრულება	დინამიკა	შედეგი	გრძელვადიანი მიზანი
ოჯახის დაგეგმვის საჭიროებების დაკმაყოფილება თანამედროვე მეთოდების მეშვეობით (15-დან 49 წლის ასაკის ქალებში)		→	50.5%	100%
ქალებისა მამაკაცების თანაფარდობა მიღებული განათლების წლების თვალსაზრისით		↑	100.8%	100%
ქალებისა მამაკაცების თანაფარდობა შრომის ბაზარში		↑	75.4%	100%
პარლამენტში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპორციული რაოდენობა		→	14.1%	50%

SDG-6 სუფთა წყალი და სანიტარია

მეექვსე მდგრადი განვითარების მიზნის თვალსაზრისით, გამოწვევები ფიქსირდება ჩამდინარე წყლების გადამუშავების პროპორციული მაჩვენებლების და სანიტარული პირობების ხელმისაწვდომობის მიმართულებით. მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, ამ უკანასკნელის მაჩვენებელი 90%-ის ფარგლებში მერყეობს და ბოლო წლებში გაუარესების ტენდენცია აღინიშნება.

ინდიკატორი	შესრულება	დინამიკა	შედეგი	გრძელვადიანი მიზანი
მოსახლეობის ოდენობა, რომელიც სარგებლობს უსაფრთხო სასმელი წყლის მომსახურებით		↑	98.4%	100%
მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელიც სარგებლობს უსაფრთხოდ მართული სანიტარული მომსახურებით		→	90.0%	100%
სასმელი წყლის მოპოვება		○	5.9%	12.5%



ჩამდინარე წყლების გადამუშავების მაჩვენებელი		○	46.6%	100%
წყლის მოხმარების მაჩვენებელი (მ ³ /ერთ სულ მოსახლეზე)		↑	15.4	0

SDG-7 ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია

მდგრადი განვითარების მეშვიდე მიზნის ყველა ინდიკატორის შემთხვევაში ფიქსირდება ზრდის დადებითი ტენდენცია. მოსახლეობის თითქმის 100%-ს ხელი მიუწვდება ელექტრო-ენერგიაზე, და ნახშირორჟანგის გამოყოფის პროპორციული ნიშნული დაყვანილია SDG-7-ის შესაბამის ნიშნულამდე. გამოწვევები დარჩენილია მოსახლეობის მიერ სუფთა საწვავის და ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით, თუმცა ამ შემთხვევაშიც წლიდან წლამდე სახეზეა გაუმჯობესება.

ინდიკატორი	შესრულება	დინამიკა	შედეგი	გრძელვადიანი მიზანი
მოსახლეობის ოდენობა, რომელსაც ხელი მიუწვდება ელექტროენერგიაზე		↑	100.0%	100%
მოსახლეობის ოდენობა, რომელიც ძირითადად იყენებს ენერგიის სუფთა წყაროებსა და ტექნოლოგიებს		↑	77.8%	100%
ელექტროენერგიის გამომუშავებისა და გათბობის მიზნით საწვავის წვის შედეგად გამოყოფილი ნახშირორჟანგის ოდენობა (MtCO ₂ /TWh)		↑	0.7	0

SDG-8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

Covid-19-ის კრიზისის შედეგად უმუშევრობის დონე გლობალურად გაიზარდა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოშიც 2020 წელს, წინა წელთან შედარებით გაუარესება დაფიქსირდა. თუმცა დინამიკა კვლავ დადებითად შეფასდა, რადგან უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე 8%-ით შემცირდა. გაუარესება აღინიშნება შრომითი უფლებების გარანტიების არსებობის თვალსაზრისით. აღნიშნული ინდიკატორი ეყრდნობა მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის „კანონის უზენაესობის ინდექსს“, რომელიც ზომავს ფუნდამენტური შრომითი უფლებების დაცვის დონეს, დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციის დონეს, და იძულებითი შრომის მაჩვენებლებს.



ინდიკატორი	შესრულება	დინამიკა	შედეგი	გრძელვადიანი მიზანი
რეალური მშპ-ს ზრდა		○	0.5%	5%
იძულებითი მომუშავეთა სავარაუდო რიცხოვნობა (1000 მოსახლეზე)		○	4.3	0
ზრდასრული ადამიანების ოდენობა, რომელთაც აქვთ ანგარიში ბანკში ან სხვა ფინანსურ დაწესებულებაში ან სარგებლობენ მობილური გადახდის სერვისებით		↑	61.2%	100%
უმუშევრობის დონე		↑	12.1%	0.5%
შრომითი უფლებების ეროვნული შესრულების დონე (0-1)		↓	0.6	0.85
სასიკვდილო ტრავმების სიხშირის მაჩვენებელი (100 000 მოსახლეზე)		↑	0.3	0

SDG-9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

ინტერნეტ ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, საქართველოში დადებითი ტენდენციები აღინიშნება როგორც ფიქსირებული, ასევე მობილური სერვისების მიმართულებით. აღნიშნული ინდიკატორებისთვის გლობალური ინდექსი იყენებს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU)-ის მონაცემებს, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა საქართველოს სტატისტიკის სამსახურისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებს. მნიშვნელოვანი გამოწვევები აღინიშნება კვლევებსა და განვითარებაზე გაწეული ხარჯების, და სავაჭრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. ამ უკანასკნელის შეფასების მიზნით, გლობალური ინდექსი იყენებს ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსს, რომელიც გამოკითხვების საფუძველზე აფასებს ქვეყანაში არსებული სავაჭრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხს (პორტები, გზები, რკინიგზა, ინფორმაციული ტექნოლოგიები).

ინდიკატორი	შესრულება	დინამიკა	შედეგი	გრძელვადიანი მიზანი
ინტერნეტ-მომხმარებლების ოდენობა		↑	68.8%	100%
ფართოზოლოვანი მობილური სერვისების მომხმარებლების ოდენობა		↑	79.8%	100%
ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსი: სავაჭრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხი (1-5)		↓	2.4	3.8
უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების რეიტინგი (1-100)		○	17.7	50



პუბლიკაციები სამეცნიერო და ტექნიკურ ჟურნალებში (1000 მოსახლეზე)		→	0.1	1.2
კვლევებსა და განვითარებაზე გაწეული ხარჯები (მშპ-ს %)		↓	0.3%	3.7%

ეკონომიკის და ინდუსტრიის განვითარებაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია კვლევებსა და განვითარებაში (R&D) ჩადებული ინვესტიციები. მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში, ქვეყნებმა აიღეს ამ ინვესტიციების გაზრდაზე ზრუნვის ვალდებულება, მათ შორის საქართველომაც. თუმცა, უკანასკნელი მონაცემებით, ქვეყანაში ამ მიმართულებით პროგრესი არ აღინიშნება. 2018 წლის ხარჯი 125 მილიონ ლარს შეადგენდა⁴, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 0.3%-ს შეესაბამება, ხოლო წინარე ანგარიში სამიზნე მაჩვენებლად იყენებს მშპ-ს 3.7%-ს. აღსანიშნავია, რომ განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში R&D ხარჯების ძირითადი წილი ბიზნეს სექტორიდან მომდინარეობს, ხოლო საქართველოში მეტწილად უნივერსიტეტებიდან და საჯარო სექტორიდან, რაც ასევე გამოწვევას წარმოადგენს.

SDG-10 შემცირებული უთანასწორობა

ეკონომიკური თანასწორობის თვალსაზრისით, გლობალური ინდექსის მიერ გამოყენებული ორივე ინდიკატორის თანახმად, საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. ჯინის (Gini) კოეფიციენტი წარმოადგენს სოციალური უთანასწორობის მაჩვენებელს, რომელიც ზომავს მოსახლეობაში არსებულ დისბალანსს მათი შემოსავლების თვალსაზრისით. ანგარიში იყენებს კოეფიციენტის დაზუსტებულ ვარიანტს, რომელიც ასევე ითვალისწინებს ზედა ფენის გაუმჯობესებელ შემოსავლებს. 2017 წლის შედეგებით საქართველო ყველაზე უთანასწორო ქვეყნების ათეულში მოხვდა.⁵

ხოლო Palma ratio წარმოადგენს ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე მოსახლეობის 10%-ის მიერ მიღებული შემოსავლის შეფარდებას ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობის 40%-ის მიერ მიღებულ შემოსავალთან. ანგარიშში მოცემულია 2018 წლის UNDP-სა და OECD-ის მონაცემები.

ინდიკატორი	შესრულება	დინამიკა	შედეგი	გრძელვადიანი მიზანი
Gini-ს დაზუსტებული კოეფიციენტი		○	47.6	27.5
Palma ratio		○	1.5	0.9

SDG-11 ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება

⁴http://data.uis.unesco.org/Index.aspx?DataSetCode=SCN_DS&lang=en

⁵<https://www.brookings.edu/opinions/how-much-do-we-really-know-about-inequality-within-countries-around-the-world/>



SDG-11 ის ფარგლებში, საქართველოსთვის ყველაზე პრობლემურ მიმართულებას ეგრეთ წოდებული არაფორმალური დასახლებები წარმოადგენს. ამ ინდიკატორის მიზნებისთვის, არაფორმალურ დასახლებულად მიიჩნევა შინამეურნეობა, რომელსაც ხელი არ მიუწვდება სუფთა წყალზე, საბაზისო სანიტარულ პირობებზე, საკმარის საცხოვრებელ ფართზე ან მუდმივ მფლობელობაზე. UN Habitat-ის თანახმად, ეს მაჩვენებელი საქართველოში 34 პროცენტს აჭარბებდა 2016 წელს და არ შეცვლილა 2018 წლის მდგომარეობით. გლობალური ინდექსის ფარგლებში არ შესწავლილა უფრო განახლებული მონაცემები.

ინდიკატორი	შესრულება	დინამიკა	შედეგი	გრძელვადიანი მიზანი
ურბანული მოსახლეობის ოდენობა, რომელიც ცხოვრობს მჭიდრო არაფორმალურ დასახლებებში		○	34.1%	0%
ქალაქებში მცირე ზომის მყარი ნაწილაკების შემცველი შემადგენლობის საშუალო წლიური დონე (მაგ. PM2.5)		↗	21.7	6.3
წყალმომარაგების ინფრასტრუქტურაზე წვდომა		↑	95.6%	100%
საზოგადოებრივი ტრანსპორტით კმაყოფილების დონე		↓	62%	82.6%

SDG-12 გონივრული მოხმარება და წარმოება

დადებითად შეფასდა მუნიციპალური მყარი ნარჩენების შეგროვება/გადამუშავების კოეფიციენტი და აზოტის გამოყოფის კოეფიციენტები. დარჩენილია გამოწვევები ნარჩენების და გოგირდის დიოქსიდის გამოყოფის თვალსაზრისით. 2019 წლის მდგომარეობით, საქართველოში ერთი სული მოსახლე საშუალოდ 7.3 კილოგრამ ნარჩენებს გამოიმუშავებდა ელექტრონული მოწყობილობების მოხმარების შედეგად. მდგრადი განვითარების მიზანი ამ მაჩვენებლის 0.2 კგ-მდე შემცირებას მოიწოდებს. აღსანიშნავია, რომ ანგარიშში აღრიცხული გოგირდის დიოქსიდის გამოყოფის მაჩვენებლები 2012 წლის მონეცემებს ეყრდნობა, რაც მიუთითებს ამ მიმართულებით მონიტორინგის ძალისხმევის გაზრდის აუცილებლობაზე.

ინდიკატორი	შესრულება	დინამიკა	შედეგი	გრძელვადიანი მიზანი
მუნიციპალური მყარი ნარჩენები (კგ/ერთ სულ მოსახლეზე/დღეში)		○	1	0.1



ელექტრო მოწყობილობების ნარჩენები (კგ/ერთ სულ მოსახლეზე)		○	7.3	0.2
წარმოების შედეგად გოგირდის დიოქსიდის გამოყოფა (კგ/ერთ სულ მოსახლეზე)		○	54.7	0
იმპორტით განპირობებული გოგირდის დიოქსიდის გამოყოფა (კგ/ერთ სულ მოსახლეზე)		○	5.2	0
წარმოების შედეგად აზოტის გამოყოფა (კგ/ერთ სულ მოსახლეზე)		○	13	2
იმპორტით განპირობებული აზოტის გამოყოფა (კგ/ერთ სულ მოსახლეზე)		○	2.6	0

SDG-13 კლიმატის მდგრადობის მიღწევა

მნიშვნელოვანი გამოწვევები აღინიშნება ნახშირორჟანგის გამოყოფის მაჩვენებლების თვალსაზრისით. დინამიკის მხრივ ასევე აღინიშნება სტაგნაცია, გარდა წიაღისეული საწვავის ექსპორტით განპირობებული ნახშირორჟანგის გამოყოფის მიმართულებით, თუმცა ეს განპირობებულია თავად საექსპორტო წიაღისეულის სიმწირით.

ინდიკატორი	შესრულება	დინამიკა	შედეგი	გრძელვადიანი მიზანი
წიაღისეული საწვავის წვის და ცემენტის წარმოების შედეგად გამოყოფილი ნახშირორჟანგი (tCO2/capita)		→	2.6	0
იმპორტით განპირობებული ნახშირორჟანგის გამოყოფა (tCO2/capita)		↗	0.9	0
წიაღისეული საწვავის ექსპორტით განპირობებული ნახშირორჟანგის გამოყოფა (კგ/ერთ სულ მოსახლეზე)		○	0.8	0

SDG-14 წყალქვეშა რესურსები



წყალქვეშა რესურსების მდგრადი განვითარების მიზნის ფარგლებში, პრობლემური კომპონენტია თევზსაჭერი ლოკაციების ექსპლუატაციის მაჩვენებელი, ვინაიდან აღნიშნული სტატისტიკა საქართველოში არ იწარმოება. ამ მხრივ, გლობალური ინდექსი იყენებს ეკოლოგიური მაჩვენებლების ინდექსს (EPI, Environment Performance Index) მონაცემებს, რომელიც აგროვებს და აწარმოებს მრავალი კატეგორიის სტატისტიკას გარემოსდაცვის სფეროში. მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების უფრო ზუსტი შეფასებისთვის მნიშვნელოვანია აღნიშნულ ინდექსთან თანამშრომლობის გადრმავება და მონაცემების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

ინდიკატორი	შესრულება	დინამიკა	შედეგი	გრძელვადიანი მიზანი
ბიომრავალფეროვნებისთვის მნიშვნელოვანი ძირითადი ტერიტორიების დაცულობის მაჩვენებელი		→	35.6%	100%
ოკეანის სიჯანსაღის ინდექსი: წყლის სისუფთავის მაჩვენებელი (1-100)		↓	55.2	100%
თევზის მარაგის პროპორციული ოდენობა ბიოლოგიურად მდგრად საზღვრებში		○	N/A	0
ინდუსტრიული ბადის მეშვეობით თევზჭერის პროპორციული მაჩვენებელი		↑	5.03%	1%
დაჭერის შემდგომ გადაგებული თევზების რაოდენობა		○	7.3%	0%
ბიო-მრავალფეროვნების მიმართ იმპორტის შედეგად წარმოქმნილი საფრთხეები		○	0	0

SDG-15 დედამიწის ეკოსისტემა

2014-2018 წლების მაჩვენებლების მიხედვით, გაუტყეურების (დეფორესტაციის) მაჩვენებელი საქართველოში 0-მდეა დაყვანილი (მოიცავს სამშენებლო, სამეწარმეო და სამეურნეო მიზნებისთვის შემცირებულ ტყის საფარს, არ მოიცავს სატყეო სექტორის მდგრადი მუშაობის და ბუნებრივი ხანძრების შედეგებს). თუმცა მნიშვნელოვანი გამოწვევები კვლავ გვხვდება ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით, როგორც ხმელეთზე ასევე მტკნარ წყლებში.

ინდიკატორი	შესრულება	დინამიკა	შედეგი	გრძელვადიანი მიზანი
ბიო-მრავალფეროვნებისთვის მნიშვნელოვანი ძირითადი		→	40.3%	100%



ტერიტორიების დაცულობის მაჩვენებელი				
ბიომრავალფეროვნებისთვის მნიშვნელოვანი ძირითადი ტერიტორიების დაცულობის მაჩვენებელი მტკნარ წყლებში		→	37.3%	100%
წითელი ნუსხის ინდექსი (0-1)		→	0.87	1
მუდმივი გაუტყეურების მაჩვენებელი		○	0.0	0.0
ხმელეთისა და მტკნარი წყლის ბიომრავალფეროვნებისათვის იმპორტის შედეგად წარმოქმნილი საფრთხეები (1 მილიონ მოსახლეზე)		○	0.7	0

SDG-16 მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები

SDG-16-ის ყველა ინდიკატორის შემთხვევაში სახეზე გვაქვს გაუმჯობესების ტენდენცია, გარდა განზრახ მკვლელობის მსხვერპლთა რაოდენობის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ გლობალურ ინდექსს ამ შემთხვევაში გამოყენებული აქვს გაეროს 2000-2018 წლების მონაცემები.

ინდიკატორი	შესრულება	დინამიკა	შედეგი	გრძელვადიანი მიზანი
განზრახ მკვლელობის მსხვერპლთა რაოდენობა (100,000 მოსახლეზე)		↓	2.2	0.3
ბრალდებულ პირთა წილი პატიმრების საერთო რაოდენობიდან		↑	11.8%	7%
ადამიანების რაოდენობა, რომლებიც თავს გრძნობენ უსაფრთხოდ საცხოვრებელი გარემოს ტერიტორიაზე გადაადგილების დროს		↑	79%	90%
საკუთრების უფლების დაცვა (1-7)		↑	5.3	6.3
ბავშვთა წილი, რომელთა დაბადება რეგისტრირებულია საჯარო უწყებაში		○	99.6%	100%
კორუფციის აღქმის ინდექსი (0-100)		↑	56	88.6
ეკონომიკური ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვთა პროცენტული ოდენობა		○	1.5%	0%



იარაღის ექსპორტი		○	0.2	0
პრესის თავისუფლების ინდექსი (0-100)		↑	28.6	10
მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა (0-1)		↑	0.7	0.75

SDG-17 თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის

ქვეყნებს შორის შეინიშნება მნიშვნელოვანი უთანასწორობა ვაქცინებზე და პოსტ-პანდემიური პერიოდის სხვა გამოწვევებთან გასამკლავებელ რესურსებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ამ მხრივ საქართველოშიც ვაწყდებით გამოწვევებს, შედარებით მცირეა სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის და განათლების სექტორზე გამოყოფილი თანხები, თუმცა ამ მიმართულებით სახეზე გვაქვს ზრდის ტენდენცია. უფრო საგანგაშოა საბიუჯეტო შემოსავლების დაბალი მაჩვენებელი, რომელიც, 2019 წლის მდგომარეობით, უკვე განიცდიდა სტაგნაციას. ხოლო პანდემიის შედეგად გამოწვეული კრიზისის კვალობაზე მოსალოდნელია შემდგომი გაუარესება.

ინდიკატორი	შესრულება	დინამიკა	შედეგი	გრძელვადიანი მიზანი
ჯანდაცვაზე და განათლებაზე გაწეული ხარჯები (მშპ-ს %)		↑	6.3%	15%
საბიუჯეტო შემოსავალი გრანტების გამოკლებით (მშპ-ს %)		↓	20.8%	40%
ოფშორული საგადასახადო რეიტინგი (0-100)		○	0	40
სტატისტიკური წარმადობის ინდექსი (0-100)		↑	80.1	100

გავრცელების ეფექტის ინდექსი (Spillover Index)

ანგარიში მოიცავს 2021 წლის გავრცელების ეფექტის საერთაშორისო ინდექსს, რომელიც აფასებს თუ როგორი სოციო-ეკონომიკური და ეკოლოგიური გავლენა აქვს ქვეყანას სხვა ქვეყნებზე, მათ შორის არამდგრადი ვაჭრობისა და მიწოდების ჯაჭვების შედეგად. ანგარიშის თანახმად, შეღავათიანი დაბეგვრის პირობები და მოგების გადინება მდიდარ ქვეყნებში აფერხებს განვითარებადი ქვეყნების მიერ მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად რესურსების მობილიზების ძალისხმევას. სხვადასხვა ტიპის გლობალური საგადასახადო



რეფორმების მეშვეობით შესაძლებელია განვითარებად ქვეყნებში საჯარო შემოსავლების მნიშვნელოვნად გაზრდა.

გავრცელების ეფექტები მოქცეულია 4 ძირითად კატეგორიაში:

1. **სავაჭრო ურთიერთობების შედეგად მიღებული ეკოლოგიური და სოციალური გავრცელების ეფექტები** მოიცავს დაბინძურებას, წიაღისეულის მოხმარებას, მოქალაქეების მიერ საქონელისა და მომსახურების მოხმარების შედეგად დაყენებულ სხვა უარყოფით სოციალურ შედეგებს. ეს კატეგორია ასევე მოიცავს ტოქსიკური პესტიციდების ექსპორტს და ცხოველებით არალეგალურ ვაჭრობას.
2. **პირდაპირი მიმოქცევა მოიცავს ფიზიკური გავრცელებს ეფექტებს** – მაგალითად ჰაერის ან წყლის– ერთი ქვეყნიდან მეორეში. რთულია ჰაერის და წყლის დაბინძურების მისადაგება კონკრეტული ქვეყნისთვის, შესაბამისად ეს რჩება სტატისტიკურ ხარვეზად.
3. **საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ნაკადები** მოიცავს საერთაშორისო განვითარების ფინანსებს (როგორიცაა მაგალითად განვითარების მხარდაჭერის ოფიციალური პროგრამა (ODA)), ასევე უსამართლო საგადასახადო კონკურენციას, ინვესტიციების ნაკადებს, საერთაშორისო ფულად გზავნილებს და კორუფციას.
4. **მშვიდობის დაცვის და უსაფრთხოების კატეგორიის გავრცელების ეფექტები** მოიცავს ისეთ უარყოფით გავლენებს, როგორიცაა იარაღის ექსპორტი და საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაული - რომლებმაც შესაძლოა მოახდინონ ღარიბი ქვეყნების დესტაბილიზაცია. დადებითი გავრცელების ეფექტები მოიცავს კონფლიქტების პრევენციასა და სამშვიდობო ძალებში ინვესტიციებს.

ქვეყნების შეფასება ხდება აღნიშნულ ოთხ კატეგორიაში მოქცეული ინდიკატორების საფუძველზე, 100 ბალიანი სისტემით. 100 ქულიანი შეფასება ნიშნავს, რომ გავრცელების უარყოფითი ეფექტები ნულამდეა დაყვანილი.

საქართველომ 90.7 ქულით 165 შეფასებული ქვეყნიდან 98-ე ადგილი დაიკავა საერთაშორისო რეიტინგში. როგორც განვითარებად ქვეყანას შედარებით მაღალი ქულა უფიქსირდება გავრცელების ეფექტების თვალსაზრისით, ვინაიდან შედარებით მცირეა ქვეყნის სავაჭრო მოცულობა და შესაბამისად, მცირეა იმპორტით განპირობებული უარყოფითი გავლენები.

ინდიკატორი	შესრულება	დინამიკა	შედეგი	გრძელვადიანი მიზანი
მავნე პესტიციდების ექსპორტი		○	N/A	0
იმპორტით განპირობებული წყლის მოხმარების მაჩვენებელი		↑	15.43	0
იმპორტით განპირობებული გოგირდის დიოქსიდის გამოყოფა		○	5.19	0
იმპორტით განპირობებული აზოტის გამოყოფა		○	2.55	0
იმპორტით განპირობებული ნახშირ-ორჟანგის გამოყოფა		↗	0.90	0
ბიო-მრავალფეროვნების მიმართ იმპორტის შედეგად წარმოქმნილი საფრთხეები		○	0.01	0




ხმელეთისა და მტკნარი წყლის ბიომრავალფეროვნებისათვის იმპორტის შედეგად წარმოქმნილი საფრთხეები		○	0.66	0
იმპორტით განპირობებული შრომითი სიკვდილიანობა		↑	0.1	0
ოფშორული საგადასახადო რეიტინგი		○	0	40.0
იარაღის ექსპორტი		○	0.16	0

გამოწვევები დარჩენილია ბიომრავალფეროვნების დაცვის და იმპორტით განპირობებული გოგირდის და აზოტის გამოყოფის მიმართულებით.

ანგარიშის ძირითადი აქცენტები და რეკომენდაციები

COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა. 2020 წელს პირველად დაფიქსირდა SDG ინდექსის გლობალური საშუალო მაჩვენებლის გაუარესება, წინა წელთან შედარებით, რაც მეტწილად გამოწვეულია პანდემიის შედეგად გაზრდილი სიღარიბის და უმუშევრობის დონით. აღნიშნული გაუარესება სავარაუდოდ უფრო მასშტაბურია, ვიდრე 2021 წლის ანგარიშშია წარმოდგენილი, ვინაიდან მისი გამოქვეყნების მომენტისთვის მრავალი ინდიკატორის სტატისტიკური მაჩვენებლები, გლობალური შეფერხებების ფონზე, ჯერ კიდევ არ იყო ხელმისაწვდომი. პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა მდგრადი განვითარების სამივე განზომილებაზე: სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოს დაცვით მიმართულებებზე.



დაბალი შემოსავლის მქონე განვითარებად ქვეყნებს (LIDC) არ გააჩნიათ SDG-ების შესაბამისად საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და ინვესტიციებზე დაფუძნებული აღდგენითი პროცესების დასაფინანსებელი ფისკალური შესაძლებლობები. პანდემიის შედეგად ნათლად გამოჩნდა ღარიბი ქვეყნების შეზღუდული წვდომა საბაზრო საფინანსო რესურსებზე. მაღალშემოსავლიანმა ქვეყნებმა პანდემიის საპასუხოდ შეძლეს მოცულობითი



სესხების აღება, ხოლო ღარიბმა სახელმწიფოებმა ნაკლებად შეძლეს ამ რესურსით სარგებლობა დაბალი საბაზრო კრედიტ-უნარიანობიდან გამომდინარე. მოკლევადიან პერსპექტივაში, აღნიშნული მოცემულობის შედეგად, მაღალ-შემოსავლიანი ქვეყნები უფრო სწრაფად შეძლებენ პანდემიის მიერ გამოწვეული ზიანის განეიტრალებას, ვიდრე დაბალ-შემოსავლიანი ქვეყნები.

გლობალური გამოწვევები როგორიცაა პანდემია, კლიმატის ცვლილება, და ბიომრავალფეროვნების კრიზისი საჭიროებენ ძლიერ მულტილატერალურ სისტემას. ეკოსისტემებზე და ბუნებაზე მიყენებულ ზიანს შედეგად შესაძლოა მოჰყვეს COVID-19-ის მსგავსი, სხვა უფრო ფატალური ცხოველური პათოგენების და დაავადებების გავრცელება. უკვე თვალსაჩინოა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატაკლიზმების მკვეთრი მატება. ციფრული რევოლუციის შედეგად მიწოდების მრავალი ჯაჭვი გადავიდა ონლაინ სივრცეში, თუმცა ასევე გაიზარდა კიბერშეტევების საფრთხე. არც ერთ ქვეყანას არ შესწევს უნარი დამოუკიდებლად გაუმკლავდეს ამ გლობალურ გამოწვევებს, სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი მულტილატერალური სისტემის ეფექტურად მუშაობის ხელშეწყობა. მზადყოფნის გაძლიერება, კოორდინირებული მოქმედება და კრიტიკული რისკების მიმართ სიმტკიცე არის ის ძირითადი ფაქტორები, რაც ხელს შეუწყობს 2019 წელს გენერალური მდივნის მიერ ინიცირებულ მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვას.

მაღალი შემოსავლის ქვეყნები წარმოშობენ გავრცელების უარყოფით ეფექტს (Spillover Effect), რაც განვითარებად ქვეყნებს ხელს უშლის SDG-ების მიღწევაში. წლევეანდელი SDG ინდექსის სათავეში 3 სკანდინავიური ქვეყანა მოექცა - ფინეთი, შვედეთი, და დანია, თუმცა ეს ქვეყნებიც მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდებიან ცალკეული SDG-ების შესრულების თვალსაზრისით. შეღავათიანი კორპორატიული დაბეგვრის პირობები და მოგების გაღიწება მდიდარ ქვეყნებში აფერხებს განვითარებადი ქვეყნების მიერ მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად რესურსების მობილიზების ძალისხმევას. ანგარიშის თანახმად, შესაძლებელია განვითარებად ქვეყნებში საჯარო შემოსავლების მნიშვნელოვნად გაზრდა სხვადასხვა ტიპის გლობალური საგადასახადო რეფორმების მეშვეობით.

პანდემიის შედეგად გამოიკვეთა ციფრულ ინფრასტრუქტურაზე წვდომის და უნივერსალური ჯანდაცვის გეგმის მნიშვნელობა. COVID-19-მა ნათლად გამოკვეთა, რომ ის ქვეყნები, რომლებსაც აქვთ გამართული ჯანდაცვის სისტემა და ეფექტური სოციალური დაცვის მექანიზმები ყველაზე კარგად არიან აღჭურვილი მსგავს კრიზისთან გასამკლავებლად. სწორედ ამიტომ მდგრადი განვითარების მიზნები მოიცავს სოციალური სერვისების გაძლიერებას და ძირითადი სამედიცინო მომსახურების უნივერსალურ დაფარვას. ციფრულმა ტექნოლოგიებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს სოციალური მომსახურების, გადახდების, სკოლისა და ჯანდაცვის შენარჩუნებაში დაწესებული შეზღუდვების/იზოლაციის დროს. ციფრული სერვისების მნიშვნელობა ხაზს უსვამს ფართოზოლოვან სერვისებზე საყოველთაო წვდომის აუცილებლობას, როგორც სოციალური ჩართულობის, ეკონომიკური შესაძლებლობებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკვანძო საშუალება.

ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემების დაგვიანებული განახლება და სხვა არსებული ხარვეზები ხაზს უსვამს სტატისტიკური შესაძლებლობების განვითარებისთვის დამატებითი ინვესტიციების და ახალი მიდგომების საჭიროებას SDG-ის შესრულების მონიტორინგის მიზნით. მდგრადი განვითარების მიზნების პროგრესის მონიტორინგისთვის საჭიროა ზუსტი და დროული მონაცემები. SDG-ების მიღებიდან ხუთი წლის შემდეგაც, მნიშვნელოვანი ხარვეზები გვხვდება მრავალი SDG-ის ფარგლებში სტატისტიკის შეგროვების თვალსაზრისით,



განსაკუთრებით, SDG-4 (ხარისხიანი განათლება), SDG-5 (გენდერული თანასწორობა), SDG-12 (მდგრადი მოხმარება და წარმოება), SDG-13 (კლიმატის მდგრადობის მიღწევა) და SDG-14 (წყალქვეშა რესურსები). მსოფლიოში სტატისტიკის წარმოების კუთხით, 2015 წლიდან მიღწეული პროგრესის მიუხედავად, დაბალშემოსავლიან ქვეყანებში სტატისტიკური შესაძლებლობების გასაძლიერებლად აუცილებელია დამატებითი ინვესტიციები.





ქ. შავჩაძის ქ. №20, 0180 თბილისი



+ 995 32 292 15 14



INFO@IDFI.GE



WWW.IDFI.GE